ტენდერი „დიპლომატ ჯორჯიას“ Design & Build

№ 12.11.2024/1

ტენდერის აღწერილობა

"დიპლომატი" საერთაშორისო სადისტრიბუციო კომპანიაა, რომელიც წარმოადგენს მსოფლიოს პრემიუმ კლასის კომპანიების წამყვან ბრენდებს მსოფლიოს ხუთ ქვეყანაში. დიპლომატი საქართველოში საქმიანობას ეწევა 2008 წლიდან და წარმოადგენს ქვეყანაში წამყვან სადისტრიბუციო კომპანიას, რომელიც ახორციელებს საერთაშორისო კომპანიების P&G-ის და Nestle-ს სამომხმარებლო და კვების პროდუქტების დისტრიბუციას საქართველოში.

შპს „დიპლომატ ჯორჯია“ აცხადებს ტენდერს - Design & Build სამ ლოტად :

1. ახალი სასაწყობე შენობის დაპროექტება / მშენებლობა (ქალაქი სამტრედია , ქუჩა ფანჯიკიძე , N 6 , მიმდებარედ ს/კ 34.08.49.318);
2. სარეკონსტრუქციო სამუშაოები არსებული სასაწყობე შენობის (ქალაქი სამტრედია , ქუჩა რობაქიძე ,
   N 30 ს/კ 34.08.49.034);
3. პარკინგი და დამხმარე შენობა-ნაგებობების მოწყობა (ქალაქი სამტრედია , ქუჩა ფანჯიკიძე ს/კ 34.08.49.039).

აღნიშნული ლოტების შესაბამისი დეტალები, გთხოვთ იხილოთ თანდართულ ტექნიკურ დავალებაში:

- ✓ **34.08.49.034 - ამონაწერი საჯარო რეესტრიდან**
- ✓ **34.08.49.034 - საკადასტრო გეგმა**
- ✓ **34.08.49.039 - ამონაწერი საჯარო რეესტრიდან**
- ✓ **34.08.49.039 - საკადასტრო გეგმა**
- ✓ **34.08.49.318 - ამონაწერი საჯარო რეესტრიდან**
- ✓ **34.08.49.318 - საკადასტრო გეგმა**
- ✓ **დანართი N1 - გენგეგმა ესკიზი**

მონაწილის მხრიდან წარმოსადგენი ინფორმაცია:

- კომპანიის რეკვიზიტები (სრული დასახელება, ს/კ, ელ.ფოსტა და ტელ. ნომერი).
- კომერციული წინადადება (ხარჯთაღრიცხვის ფაილები, რომელიც უნდა მოიცავდეს პროექტის ღირებულებას, პროექტის შესრულების ვადას და გადახდის პირობას).
- ფასების წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ საქართველოს ეროვნულ ვალუტაში (ლარი). ფასები უნდა მოიცავდეს ამ კონკურსით გათვალისწინებულ ყველა ხარჯსა და კანონით გათვალისწინებულ გადასახადებს (მათ შორის დღგ).
- ბოლო 3 წლის განმავლობაში ანალოგიური მომსახურების გაწევის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია (სასურველია მინ. 5 პროექტი).

- მინიმუმ 3 სარეკომენდაციო წერილი.
- მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარდგენისათვის საჭირო ყველა დოკუმენტაცია შეგიძლიათ იხილოთ თანდართულ ფაილებში.
- ყველა მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარდგენა უნდა მოხდეს მითითებული ვადის ამოწურვამდე, ელექტრონულად ტენდერების ვებ გვერდზე www.Tenders.ge
- მონაწილის მიერ წარმოდგენილი წინადადება ძალაში უნდა იყოს წინადადებების მიღების თარიღიდან 90 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

შენიშვნა:

N1წინადადების წარდგენის მომენტისთვის პრეტენდენტი არ უნდა იყოს გაკოტრების პროცესში, ლიკვიდაციის პროცესში და საქმიანობის დროებით შეჩერების მდგომარეობაში.

N2 წინადადებები განიხილება, მხოლოდ Design & Build-ის შემოთავაზებით.

სატენდერო პროცედურები და ვადები:

- წინადადების მიწოდების საბოლოო ვადაა **2024 წლის 10 დეკემბერი 17:00 საათი.**
- სატენდერო პერიოდის დასრულების შემდეგ მოხდება ყველა იმ კომპანიის განაცხადის განხილვა, რომელიც სრულყოფილად წარმოადგენს სატენდერო წინადადებაში მოცემულ ყველა საჭირო დოკუმენტაციას. საპროექტო კომპანიის შერჩევა და გამარჯვებულად გამოვლენა მოხდება წარმოდგენილი ფასის, გამოცდილებისა და კვალიფიკაციის შესაბამისად.
- მონაწილის მიერ წარმოდგენილი არასწორი ან არასრულყოფილი წინადადება არ განიხილება.
- ყველა სრულყოფილად წარმოდგენილი წინადადებების განხილვა მოხდება შპს „დიპლომატ ჯორჯიას“ სატენდერო კომიტეტის მიერ, რომელიც გამოავლენს გამარჯვებულს.
- შპს „დიპლომატ ჯორჯია“ უფლებას იტოვებს თვითონ შეცვალოს ტენდერის დასრულების ვადა, შეცვალოს კონკურსის პირობები, ან შეწყვიტოს მისი მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე.

საკონტაქტო ინფორმაცია:

შესყიდვების უფროსი სპეციალისტი:

საკონტაქტო პირი: ნინი ბეროზაშვილი

ელ. ფოსტა: n.berozashvili@diplomat.ge

ტელ: +995 598 274 426

სამშნებელო პროექტ მენეჯერი :

საკონტაქტო პირი: გიორგი ღარიბაშვილი

ელ. ფოსტა: g.gharibashvili@diplomat.ge

ტელ: +995 577 200 342

შესყიდვების მენეჯერი:

საკონტაქტო პირი: ბაკო ხაბურძანია

ელ. ფოსტა: B.khaburdzania@diplomat.ge

ტელ: +995 577 14 44 40